

# სახალხო განცემა

სურათების წარტიბა

გაცემის № 575

დამატების № 101

პირა, 15 აპრილი 1912 წ.



სამარყანდი, ნახატი გ. გაბაშვილისა.

## ო ფ ა რ ი

ელავდა, მორაკრაკებდა  
წყარო ლამაზი მთებისა;  
გიშრისა ჰქონდა ოვალები,  
ნაწნაენი ოქროს თმებისა.  
ტანი ალვის ხეს ვამგზავსე,  
ნაზსა, ხელ-შეუხებელისა...  
ვეღარ გავუძელ, თუნ გავუკე  
გულ-მკერდში ცეცხლის მგზნებელისა!..

— წყაროვ, ან კარავ, წანწკარავ,  
მე შენ ქალო ეთერს გადარე;  
შენ მარჯვი: „აბესალომ ხარ“  
და მარად შენთან მატარე!..

ახოსპირელი.



## ორვეულის წარტიბა

კ. გაბაშვილს.

I.

როს ოლიმპიის ძევსე სვიანი  
გაფურჩქვნილ სოფლად იარებოდა,  
როს ეოლოსის ჩანგი ხმიანი

ნიავზე თვისით დაიკვრებოდა,  
როს ფსიხე ნაზი და თეთრ ფრთოსანი  
ეროსის ვნებით იმსჭვალებოდა

და ეშით თრთოდა, ვითა სოსანი,—  
იმ დროს შემულსა თრაქიის მხარეს  
სცხოვრობდა მარტოდ ვინშე მგოსანი.

მას ყრმა ჭაბუკა, სახით ელვარეს  
და ორფეუსად სახელ-წოდებულს,  
ყველა ეტროდა, ვით მზეს და მოვარეს.

ღმერთებისაგან თვით მოწოდებულს  
თან დაჰყოლოდა ხმა ტებილ-ნარნარი.  
ო, ვინც ჰნახავდა მას ცეცხლ-მოდებულს,

ქნარზე სიმღერა ჰქეკდა ვით ზარი,  
უკრთოდა თვალი და სახე მანგი.  
ქალნი ამბობდნენ: არს ღმერთთა დარი!

მოძრაობა მაკედონიაში.



მაკედონელთა ბელადი ტანი ნიკოლო.

ვით თვითონ, ეგრეც წყობილი ჩანგი  
ხმას გამოსცემდა რხევა-ციალით  
და მსმენელს მისი ჰელინავდა ჰანგი.

ო, რავდენს ასულს გულის ფთხრიალით  
მოუსმენია სიმთ ქლერა ნელი  
და აგზნებულა უმალ ტრფიალით.

განთიადისას, როს ღამე პნელი  
ფერს იცვლიდა მჭვირვალდებოდა,  
აღმოაკმევდა სურნელს მთა-ველი —

ორფეუს კოშკზე გამოჩნდებოდა  
და მხეს უძღვნიდა ქებათა-ქებას.  
წალკოტში ხალხი შემოკრბებოდა

მისის გალობით ჰპოვებდა შვებას,  
მგოსანთან ერთად სულს მოითქვავდა,  
მიეცემოდა ტკბილ აღტაცებას.

ციურის ჰანგით შავს ნალველს ჰკლავდა,  
ცრელმას იშრობდა სინანულისას,  
ფერად იმედით გულს იქარგავდა,

ლამპარს ინთებდა სიყვარულისას  
და ასე გრძნობით დამშვიდებული  
ვარსკვლავსა სწყვეტდა სიხარულისას.

სულით შვებული, განახლებული  
შრომას და ჯაფას შეუდებოდა.  
საქმის ჟამს კისერ მოლერებული

ორფეუსს გულით ემადლებოდა.  
და განა მარტო ადამიანი  
მისის გალობით იხიბლებოდა?

ზლვა, ტყე, ციცაბო მაგარ-კლდიანი,  
მთა მობურული, სუსხით მყინვარი,  
ნასრან-ზამბანი, ლურჯნი იანი.

უტყვი ნადირი, შმაგი, მძვინვარი,  
ზეცის ფრინველი გალალებული  
და რაც არსებობს, რაც ქვეყნად არი

მის ჰანგსა ჰყავდა შენაგრძნებული!

## II.

ერთ დღეს ეახლა მგოსანს ქადაგი.  
აღაპყრო ხელი და მოახსენა  
სიტყვა არ ტკბილი—გულის დამდაგი.

უთხრა: ორფეუს! მომაპყარ სმენა,  
შენი განვისჭვრიტე მე მომავალი!  
ახლოა ჟამი მოგესპოს ლხენა,

თვალმა დალგაროს ცრემლი მრავალი,  
სულმა სევდისგან შენალონებმა  
გზა გადიაროს ეკლით სავალი!..

თუ გსურს აწ შვებით განაშონებმა  
მომავალშიაც ეგრე ივარდო,  
შენ, მწუხარების დასაყოვნებმა,

იგი ასული არ შერფარდო,  
ვისი ტრფიალი ეგრე გაწყლულებს —  
თორემ თვით ცეცხლი გულს გაიზარდო!

მართალი არის ის გასულდგმულებს,  
ოცნება შენი თავს დასტრიალებს,  
მაგრამ ნუ აწყენ ბედის ამსრულებს!

იმ წამს, როს პირველ შეგიტრფიალებს  
და შენი ბაგე ეამბორება —  
მისთვის იქ გველი გაისრიალებს,

თვით აომოგხდება მწარე გოდება.  
ვაი ჩვენ მაშინ! ვაი ჩვენ კიდეს,  
რადგან მგოსანი დაგვიობლდება!..

— მაშ ნუ შეირთავ ქალს ევრიდიკეს!

## III.

თლილ მარმარილოს კოშკი ელვარებს  
მუნ ისმის ჩანგის და მწყობრის ქლერა.  
ყვავილთ გვირგვინი ამშვენებს ქალებს.

ბერძნის კეკლუცთა და ყრმათა მლერა  
ნიაგს შორს მიაქვს და აფენს მდელოს.  
მეფე-დედოფლის სამო მზერა

თვით ლამპართ შუქმაც ვერ ჩააბნელოს!  
ერთმანეთს ნაზად ელიმებიან,  
სხვები კი ჰსვამენ მათ სადლეგრძელოს.

უკვე ვარსკვლაენი იბინდებიან.  
აღმოსავლეთით კროება ცისკარი.  
ღილის ყვავილნი იფურჩენებიან...


აგერ გაიღო სასახლის კარი  
გამოჩნდა ორი ტურფა არსება:  
ორფეუს—ვის ხელთ უჭირავს ქნარი



(სურათი 2).

სოფოკლეს „ედიპ მეფე“,  
ტფილ. სახაზინო თეატრში დადგმული მარჯანიშვილის რეჟისორობით.

„ტიტანიკის“ დაღუპვა.



1 აპრილს ღამის 10 ს. 25 წუთზე დაიღუპა უდიდესი გემი მთელ ქვეყნის რობაზე. იგი სიგრძით 126 საეკნი იყო. მისი წყალთაჭყავა 66000 ტონს უდრიდა (ტონნა 62 ფუთს უდრის) მისი ღირებულება 25 მილიონი მანეთი იყო. მისი, მანქანების ძალა 45 ათას ცტენის ლონეს უდრიდა. საათში 38 ვერს გადიოდა. „ტიტანიკი“ ნიუ-იორკისაკენ მიემართებოდა 2700 მგზავრით. დაიღუპა 1410 კაცი.

და ევრიდიკე—მისი ლვთაება.  
ორფეუს ამბობს: „ჰერმონბ ამ განთიადს,  
თვისის მშვენებით გვიახლოვდება!“

— „ვგრძნობ, ჩემომ ზეო! ვგრძნობ თვით შენ დიადს,  
შენა ხარ ჩემი სხივი ცხოველი,  
ვინ ჰანგით სთრუნავ მსოფლიოს წყვდიადს.

როდეს ქნარს აქლერ—გისმენს ყოველი,  
ნამსა აკურებ უკვდავებისას,  
ვით იგი სხივი მახარობელი...

მარად მიმღერდე ჰანგსა შევბისას,  
შენი ვარ შენი, ახდა სურვილი!  
მარად მაწვდიდე ყვავილს ვნებისას.

არ დაშრეს ჩემში ნექტარო წყურვილი,  
შენის ბაგით რო გაღმომდინარებს  
იღუმალობის ცეცხლით ბურვილი!..“

— შენი ხმა ნაზი რა მონარნარებს,  
ვითა ნანინა სხივთა მთოველი  
როს ძვირფას განძას სიზმარს აფარებს!

მსურს აწ გიმღერო საგალობელი,  
ნაზად დაგიწნა ბადე გრძნობისა,  
გითხრა: შენა ხარ ჩემი მფლობელი,

მომნიჭებელი ციურ ტრფობისა!..

#### IV.

სოევა ორფეუსმა და ქნარის ძალი  
ერთი მეორეს შეუხმატებილა.  
მის მუხლთან ახლოს სჯდა ჰატარდალი

ჰირქუშთა მფრქვევი, ვით მნათი დილა.  
ასე განთიადს ეგებებოდნენ,  
მათი სიამე ვის დაეჩრდილა?

ვარდნი ფერადნი მზერით სტკებოდნენ,  
წყარო კამამით ასხავდა ქებას;  
ყვავილი შვებით ინასკვებოდნენ,

მიმოაფშვენდნენ ნაზ სურნელებას.  
ტოროლა, ფრინველთ ძილის მფრთხობელი,  
ინაწილებდა მათ აღტაცებას.

სტვენდა: მიიძღვენ საგალობელი,  
მსურს აწ დაგიწნა ბადე გრძნობისა,  
გითხრა: შენა ხარ ჩემი მფლობელი,

მომნიჭებელი ციურ ტრფობისა!

#### V.

როს შეემ მთით სხივი გადმოისროლა  
და ტბა მრავალფრად ააბჭყრიალა,  
ყვავილთ შეექმნათ სიოსგან თრთოლა—

ევრიდიკებან გაიცქრიალა,  
ავიდა კორდზე მსუბუქის რხევით,  
მოსტება დაფნი ფოთოლ-შრიალა,

აჰყა სიმღერით ცივ წყაროს ზევით,  
ამბობდა: „მოვკრევ ის და სოსანს  
და ჩემსა მიჯნურს, შემკულსა ძლევით,

ჩემს სულის არსა, ჩემს სულის მგოსანს,  
გვირგვინს დავუწნავ სურნელ მფრქვეველსა,  
შუბლსა შევუმჯობ მას ციურ ხმოსანს!“

ყვავილებს ჰკრეფდა, ივსებდა ხელსა.  
უცებ შეჰკივლა, იგრძნო ტკივილი...  
ფეხში ეკბინა შხამინ გვეღლა,

გლახ დაელარა მშვიდი ღიმილი.  
ეცა ორფეუს ფერნაჟკრთალებსა.  
გვიან ლა იყო მოთქმა-ჩივილი.

ძლიერ და აქელდა სატრფო თვალებსა.  
ვით იმ ღრუს მთვარე იცრიცებოდა  
უ ველარ სტკრეტლენ დანამალებსა—


ეგრედ ორფეუსს ეთხოვებოდა  
სატრფო გულისა, მოკლე დღიანი.  
შემოკრბა ხალხი. იცრებლებოდა.

დაეხშოთ ლხენის კარნი ღიანი.  
ლამე თუ იყო პირმოცინარე,  
ქორწილის დილა, ნათელ-მზიანი  
დაბნელდა. ცრემლთა სჩეფდა მდინარე.

#### VI.

გავიდა ხანი წყვდიაღმინარი...  
ორფეუს ჰგოდებს დამწუხრებული.  
სევდა ჰკლავს ცრემლის დამაღინარი.

ახალი აღმოჩენი პოვალის ნაზრებიაზო.



ამას წინად უძველეს ქალაქ პომპეის ნაგრევებში აღმოაჩინეს უძველესი შადრევანი, რამელიც ფრესკებითა შემკული, გამოსახულია 12 ოლიმპიის ღმერთი და ქურუმნი, რომელიც მსხვერპლსა სწირავენ.

მას ანუგეშებს ტოლთა კრებული,  
თავსა ევლება ასულთა გუნდი,  
მაგრამ მეოსანი დაობლებული

სტირს: ევრიდიკე! კვლავ დამიბრუნდი...  
ბედო, დღე ჩემი რად გაამწარე!..  
მანო, მიიღეთ ოვალ-იაგუნდი,

მიჩვენეთ ჩემი სატრფო ელვარე!..  
ისმინე, ცაო, ჩემი ვედრება:  
რისთვის მომტაცე სხივი მღელვარე?..

სად მიეფარა ჩემი ოცნება?  
რად განურისხდა ცისა ზენია?  
სამარე რისთვის ეპატრონება?

სევდა დამირჩა ამაზრზენია!..  
ქვეშენელი იქმნა მისი სამალი!  
იქ სტკენება ესდენ სინაზენია.

მომეციო, დანო, შხამი-წამალი  
სატრფო დამეჯსო მე სანეტარო  
მზე დამიბნელეთ ამომავალი!

ო, ევრიდიკე, ჩემი ნარნარო,  
მიმიღე შენთან, შენად მიწამე,  
რომ შენთან ერთად დავესამარო.

თქვენ მომაყარეთ, ძმანო, მიწა მე  
არ მსურს სიცოცხლე სულმიწურვილი!  
სად გაჰქრა, სადა, სატრფო-სიამე?

მისი ნახვა ჩემი წყურვილი,  
მისთვის ვარ ესრე სისხლით მტრალი.  
სატრფოვ, მიმიღე ნაღველ ბურვილი.

ო, ევრიდიკე! ხელი მსახვრალი  
ასე უდროოდ შენ რად შეგეხო?  
რისთვის დამტოვე მარტო საბრალი.

არა! არა მსურს ფიცი გავტეხო:  
შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი!  
მსურს ძევსეს რისხვით მეც დავიმეხო,

ეგებ ცად ვპოვო შენი აჩრდილი.  
ო, ევრიდიკე, სულო სულისავ!  
მიმიღე შენთან თალხით მოსილი

ო, ნამო ჩემო დამშვარ გულისავ!“

## VII.

სამარის ძეგლთან ასე ბნდებოდა  
მოთქმით ორფეუს სახე მიმკრთალი.  
ჰნახეს—ერთი ახლოვდებოდა

ნელის ნაბიჯით ტყით მომავალი.  
ხელში ექირა მას შვილდ-ისარი  
და უბრწყინავდა შეიარულს თვალი.

უთხრა: მომესმა ცად ხმა მკვნესარი  
და შენი თავი ლმერთს შევაბრალე,  
ვინ ოლიმპის მპყრობელი არი.

როს მთის გადაღმა ინათოს ხვალე  
აიღე შენი ქნარი ხმიანი  
გადაიარე გრძელი გზა მაღლე.

შორს მთა დაგხვდება ნაძვნარ-ტყიანი,  
მას იქით კიდევ ორკუსის მხარე.  
ნაპირს ნავი სდგას ვარაყიანი,

ჩაჯექ, გასცურე შავი მდინარე.  
გჭეს მიადგები—აჩრდილთ სამყოფელს  
და თუ ეგ შენი ხმა მონარნარე

გულსა მოულბობს ადამთა მგმობელს,  
იგი მოიყვანს შენს ევრიდიკეს  
ეგრევ გაფურჩქვნილს, ეგრევ მნათობელს!

ვიდრე აჩრდილთა სამეფოს კიდევ  
არ გამოსცილდე მომწყვლელს სულისას—  
ზედ არ შეჰედო სატრფოს, არც რიდეს,

თორებ კვლავ იგრძნობ ტკივილს წყლულისას,  
შენი მიჯნური ხელში დადნება,  
სხივსა ჩააქრობ სიხარულისას—

ვეღარ უშველის მოთქმა-გოდება  
აღარც მოგხედავს ცის შემაერთი  
მიიღე ჩემი ეს დარიგება—

სიყვარულისა მე ვარ თვით ღმერთი!

## VIII.

ცა მტრედის ფერად იღებებოდა,  
როდეს ორფეუს გულმდუღად მჩენი  
ტენაროს ბჭესთან ახლოვდებოდა.

მომართა ქნარი ხმა-აღმამფრენი,  
ოქროს სიმებსა ჩამოჰერა ხელი  
და ტკბილ სიმღერას შეასხა ფრთენი.

მოაჯადოვა ჯერ კარის მცველი:  
უსისხლო, გულქვა ქაჯი საზარი.  
განვლო გალობით აკლდამა ბნელი.

ჰნახა შორს ტახტი მაღლობზე მდგარი,  
მუნ სჯდა ქვეშენეთის მეფე ძლიერი,  
დიდად მრისხანე, საშინელთ დარი.

სოქვა: რად მოსულა ყრმა მშვენიერი,  
ჰანგით რომ ასე მოგვაჯადოვა?  
ორფეუს წარსდგა ნაზგრძნობიერი:

„სიკვდილის მეფევ, ისმინე გლოვა,  
დავყარე სატრფო სხივსანუკველი,  
იგი შენ ტყვედ გყავს, იქ ბინა ჰპოვა!

ან დამიბრუნე კვლავ მნათობელი,  
ჩემი იმედი და სიყვარული,  
ან და მეც მომკალ მისი მკობელი!“

აჩრდილთ მბრძანებელს მოულბა გულია  
სატრფო ორფეუსს გამოუყვანეს  
ეგრევ ლამაზი, ეგრევ შემკული.

ჯერ ბნელ აკლდამას და სველ სავანე,  
არ იყვნენ სრულად დაშორებულნი,  
ვერა ჰქედავლენენ სოფლის ველს მწვანეს,

რომ ორფეუსმა თვალი გზნებულნი  
მიაპყრო მიჯნურს, გულს ჩაიკონა.  
წამს იყვნენ მხოლოდ გადახვეულნი,

წამით სიამე გულს განეწონა  
და შემდეგ, ვაგლახ, სატრფო მკვენსარი  
ხელში დაუჭქნა, ვით ვარდის კონა.

ბერძენთ თქმულება ძველი ეს არი!

ბერნ. 1912 წ.

ა. შანშიაშვილი.